მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 აპრილის №235 დადგენილებისა და „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტისა და გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის N139 განკარგულებით გათვალისწინებული ზოგიერთი ღონისძიების ხელშემწყობი მოთხოვნები

<u>მიმართულება N1</u>

მერძეული, მეხორცული, კომბინირებული მიმართულების და
სანაშენე ფერმის დაფინანსებისათვის

ცხრილი 1.1

ფერმის აღჭურვილობისათვის საჭირო მინიმალური დანადგარ-მოწყობილობები (შიდა)				
N	N1 მიმართულება	35 სული (ფური) და მეტი	25-დან - 35 სულამდე	დასაშვები ხარჯები
1	ცხოველთა კეთილდღეობა			
1.1	1.1.1 მოსასვენებელი ადგილის გამყოფები *(საწოლი ბოქსი) (მერძეული და კომბინირებული მიმართულების შემთხვევაში)*	X	X	X
	1.1.2 გალიური შენახვა *((სავალდებულოა საწოლი ბოქსის არარსებობის შემთხვევაში) (მეხორცული მიმართულების შემთხვევაში მხოლოდ გალიური შენახვა))*	X	X	X
1.2	საკვები ბარიერები (თავისუფალი ან თვით ჩამკეტი)	X	X	X
1.3	მოსასვენებელი ადგილის ქვეშსაფენი	X	X	X
1.4	საფხანი ჯაგრისები	X		X
1.5	სარწყულებლები	X	X	X
1.6	საკვები მაგიდა და/ან საკვებურები	X	X	X
1.7	წყალმომარაგების სისტემა	X	X	X

2	**კლიმატი**			
2.1	სადგომის ვენტილატორები *(მერძეული და კომბინირებული მიმართულების შემთხვევაში)*	X		X
2.2	პირუტყვის გაგრილების სისტემა *(მერძეული და კომბინირებული მიმართულების შემთხვევაში)*			X
3	**ნაკელის მართვა**			
3.1	ნაკელის შემგროვებელი, სადგომიდან გამომტანი	X	X	X
3.2	გადამამუშავებელი სპეციალური მოწყობილობა ან ტექნიკა *(ტრაქტორის გარდა)*			X
3.3	ნაკელის საცავი	X	X	X
4	**ჯანმრთელობა**			
4.1	ცხოველთა საფიქსაციო დაზგა *(შესაძლებელია ცხოველთა საფიქსაციო დაზგა და სასწორი ერთი აღჭურვილობა იყოს)*	X		X
4.2	სასწორი *(შესაძლებელია სასწორი და ცხოველთა საფიქსაციო დაზგა ერთი აღჭურვილობა იყოს)*	X		X
5	**ხბოების შენახვა**			
5.1	ხბოების ბაგა/გალია *(მერძეული და კომბინირებული მიმართულების შემთხვევაში)*	X	X	X
5.2	ხბოების გამოსაკვებად სპეციალიზებული სისტემები *(მერძეული და კომბინირებული მიმართულების შემთხვევაში)*	X		X
6	**კვება**			
6.1	საკვების შემრევი და დამრიგებელი	X		X

6.2	უნივერსალური წისქვილი და კომბინირებული საკვების დამამზადებელი *(მარცვლეულის და ბალახის დაფქვა და ერთმანეთთან შერევა)*	X		X
6.3	სილოსის, სენაჟის შესაფუთი,წნეხამკრეფი *(სტაციონალური)*			X
7	**რძის წარმოება**			
7.1	ავტომატური საწველი სისტემები *(სხვადასხვა ტიპის)*	X		X
7.2	საწველი აპარატები		X	X
7.3	რძის გასაცივებელი ავზი	X	X	X

ცხრილ
ი 1.2

ტექნიკა (გარე) – N1 მიმართულება (დასაშვები ხარჯები)		
1	ნებისმიერი ტიპის სასოფლო-სამეურნეო ტრაქტორი *(თვლიანი)*	ერთი ერთეული; არაუმეტეს 220კვტ
2	სასილოსე/სასენაჟე კულტურების ამღები მანქანა *(თვითმავალი/მისაბმელი)*	ერთი ერთეული
3	სათიბელა *(საკიდი, მისაბმელი, თვითმავალი და მოტობლოკი - სათიბელა)*	ერთი ერთეული
4	წნეხ-ამკრეფი *(სხვადასხვა სახის)*	ერთი ერთეული
5	სასილოსე/სასენაჟე მასის შემფუთველი მოწყობილობა *(მისაბმელი/თვითმავალი)*	ერთი ერთეული
6	ფოცხი	ერთი ერთეული

ცხრილი 1.3

ფერმის-სადგომის საორიენტაციო-მინიმალური პარამეტრები	
	N1 მიმართულება
1	**დამხმარე პარამეტრები**

1.1	ცხოველთა სადგომი შენობის გვერდითა კედლის სიმაღლე; ღია სადგომის შემთხვევაში გვერდის სიმაღლე	3.5 მ (მინ.)
1.2	სავენტილაციო შახტა; სავენტილაციო შახტის ზომები გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჭერზე არსებობს სავენტილაციო ღიობი *(სავენტილაციო არხი)*; სადგომი გვერდითა კედელით *(მხოლოდ ერთი)* ღია მდგომარეობაში, არ მოითხოვს სავენტილაციო შახტას ან/და ღიობს	70X80 სმ (მინ.)
1.3	საკვების დასარიგებელი დერეფნის სიგანე	3.5 მ (მინ.)
1.4	საკვებ მაგიდასთან ცხოველის მისადგომის სიგანე *(კვების ფრონტი)*	70 სმ (მინ.)
1.5	მოსასვენებელი ადგილის/საწოლი ბოქსის სიგანე *(თავისუფალი დგომა)*	1.1 მ (მინ.)
1.6	მოსასვენებელი ადგილის/საწოლი ბოქსის სიგრძე *(თავისუფალი დგომა)*	2.2 მ (მინ.)
1.7	მერძეული და კომბინირებული მიმართულების შემთხვევაში გალიური შენახვისას 1 სულზე ფართი, მეხორცული მიმართულების შემთხვევაში გალიური შენახვისას 1 სულზე ფართი	8 $მ^2$/ ძროხა (მინ.) 10 $მ^2$/ძროხა (მინ.)
1.8	საწველი დარბაზი	35 სული (ფური) და მეტი
1.9	სამშობიარო სივრცე	სავალდებულოა
1.10	იზოლატორი *(სამკურნალო სივრცე)*	სავალდებულოა

<u>დამატებითი სავალდებულო მოთხოვნები:</u>

1. ვეტერინარულ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე თანამშრომელი ან შესაბამისი მომსახურების გამწევი პირი).
2. წყალზე მუდმივი ხელმისაწვდომობა.

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ რეკომენდებული ჯიშები

1. **სარძეო პროდუქტიული მიმართულების ჯიშები:**
   - წაბლა შვიცი *(Brown Swiss ამერიკული)*
   - ჰოლშტეინი
   - ჯერსი
   - მონბელიარდი
   - დანიური წითელი

2. **კომბინირებული პროდუქტიული მიმართულების ჯიშები: სარძეო - სახორცე**
   - შვიცი *(Swiss Brown - შვეიცარიული)*

3. **სახორცე პროდუქტიული მიმართულების ჯიშები:**
   - აბერდინ-ანგუსი
   - ლიმუზინი
   - სალერსი

4. **ხმელთაშუაზღვისპირული (იტალიური) კამეჩი**

5. **ადგილობრივი ჯიშები :**
   - **ქართული მთის ძროხა**
   - **მეგრული წითელი**
   - **კავკასიური წაბლა - კავკასიური კამეჩი**

ადგილობრივი ჯიშების შემთხვევაში, პროგრამა გავრცელდება მხოლოდ იმ ფერმერულ მეურნეობებზე, რომლებსაც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ დაუდასტურდება მის საკუთრებაში არსებული, განაცხადის შესაბამისი რაოდენობის, პირობითად ხალასჯიშიანი (ე.ი ჯიშის ისტორიული გავრცელების არეალსა და ჯიშისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების და გარეგნული მახასიათებლების მქონე) ფურები.

ჯიშური მიკვლევადობის სისტემა

ჯიშური მიკვლევადობის სისტემისთვის და მის გასაკონტროლებლად აუცილებელია

ფერმერმა უზრუნველყოს ზოოტექნიკური აღრიცხვიანობა, რომლებშიც მითითებული იქნება წარმოშობასა და პროდუქტიულობაზე სრულფასოვანი ინფორმაცია.

1. ფურის დაგრილებისა და მოგების ჟურნალი;
2. ფურის აღრიცხვის ჟურნალი;
3. ხბოს მიღებისა და გამოზრდის ჟურნალი;
4. ფურის სარძეო პროდუქტიულობის აღრიცხვის ჟურნალი. <u>ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის, წარმოების ჰიგიენისა და სურსათის უვნებლობის მოთხოვნები</u>

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი ზოგადი და სპეციალური მოთხოვნები:

ბიზნესოპერატორი, რომელიც ახორციელებს 5-ზე მეტი სული მსხვილფეხა საქონლის მოშენებას, წველას, რძის შენახვა/გაცივებას, ბაზარზე განთავსებას უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემდეგ მოთხოვნებს:

- უნდა იყოს რეგისტრირებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში;
- უნდა იყოს რეგისტრირებული ცხოველის სადგომი/დროებითი სადგომი და იდენტიფიცირებული უნდა იყოს თითოეული ცხოველი NAITS-ის ბაზაში.

ნორმატიული აქტების ჩამონათვალი:

- „ტექნიკური რეგლამენტები – „სურსათის ჰიგიენის ზოგადი წესისა“ და „სურსათის ჰიგიენის გამარტივებული წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის N173 დადგენილება;
- „ცხოველის საკვების ჰიგიენის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 მარტის N173 დადგენილება;
- „ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მარტის N90 დადგენილება;
- „სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) მაქსიმალურად დასაშვები ზღვრის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 9 ნოემბრის N567 დადგენილება;
- „ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების, მათი კლასიფიკაციისა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ნარჩენების მაქსიმალური ზღვრის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 დეკემბრის N639 დადგენილება;

- „სურსათის ლოტის აღნიშვნის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის N456 დადგენილება;
- „რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 აპრილის N152 დადგენილება;
- „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში მიკვლევადობის ზოგადი პრინციპების და მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის N577 დადგენილება;
- „ტექნიკური რეგლამენტის – ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის N22 დადგენილება;
- „მეცხოველეობაში ჰორმონული და თირეოსტატიკური მოქმედების მქონე ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და ბეტა-აგონისტების გამოყენების აკრძალვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 იანვრის N10 დადგენილება;
- „სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარიული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს №301/ნ ბრძანება;
- „ხბოს დაცვის მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 აგვისტოს N 443 დადგენილება;
- „ტექნიკური რეგლამენტის - ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტისა (მათ შორის, ცხოველური ნარჩენების) და მეორეული პროდუქტის, რომლებიც არ არის გამიზნული ადამიანის მიერ მოხმარებისათვის, ჯანმრთელობისა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ბიზნესოპერატორის აღიარების წესების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის N605 დადგენილება;
- სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი;
- „ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და მათი სადგომის/დროებითი სადგომის რეგისტრაციის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ოქტომბრის № 483 დადგენილება;
- „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილება (დანართი N1- დანართი N5);
- „ჯილეხით ცხოველის სიკვდილის შემთხვევაში კომპენსაციის გადახდისა და ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 30 აგვისტოს N332 დადგენილება;

- „ტექნიკური რეგლამენტის – ზოგიერთი გადამდები ღრუბლისებრი ენცეფალოპათიების პრევენციის, კონტროლისა და აღმოფხვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 დეკემბრის N600 დადგენილება;
- „ტექნიკური რეგლამენტის – ცხოველთა ჯანმრთელობის ზეგავლენა მსხვილფეხა საქონლითა და ღორით ქვეყანაში ვაჭრობაზე დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 დეკემბრის №584 დადგენილება;
- ,,ბლუთანგის აღმოფხვრასა და კონტროლთან დაკავშირებული სპეციალური წესის შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2018 წლის 3 აგვისტოს N398 დადგენილება;
- „ტრანსპორტირებისა და მასთან დაკავშირებული ოპერაციების დროს ცხოველთა დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 აგვისტოს N317 დადგენილება;
- „ფერმერული მიზნით შენახული ცხოველების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 იანვრის N6 დადგენილება;
- „ცხოველური წარმოშობის სურსათის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 თებერვლის N55 დადგენილება (თავი VIII და დანართი N1).

ნორმატიული აქტები, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელონ ბიზნესოპერატორებმა:

- „სურსათის/ცხოველის საკვების არაორგანიზებული წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის ა 2020 წლის 9 იანვრის №14 დადგენილება
- ,,ცხოველის საკვების გამოყენებისა და ბაზარზე განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 8 თებერვლის N58 დადგენილება;
- „განსაკუთრებული კვებითი დანიშნულების ცხოველის საკვების მიზნობრივი გამოყენების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 8 თებერვლის N57 დადგენილება;
- „ცხოველის საკვების მასალის კატალოგის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 8 თებერვლის N 59 დადგენილება;
- ,,ცხოველთა კვებაში გამოსაყენებელი ცხოველის საკვები დანამატების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2022 წლის 3 ოქტომბრის N473 დადგენილება.